ოქმი №16

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს მორიგი

სხდომისა

აბაშა, 2026 წლის 22 მაისი

ოქმი №16

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს მორიგი სხდომისა

აბაშა, 2026 წლის 22 მაისი

ბიუროს სხდომას თავმჯდომარეობდა ი. კიზირია
სხდომას ესწრებოდნენ:
ბიუროს წევრები: პ. ხოშტარია, ზ. მაკალათია, მ. კვიტაშვილი, შ. ჯღარკავა, ზ. ნოდია, ზ. გუგუშვილი, დ. ცანავა, გ. ქოიავა, რ. კაჭარავა, ვ. ავალიანი, დ. ვერულაშვილი და გ. თოფურია.

საკრებულოს აპარატის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - საკრებულოს აპარატის უფროსი - ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირი - გ. ხურცილავა, საკრებულოს აპარატის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი-იურიდიულ საკითხთა განყოფილების უფროსი ნ. კუპრეიშვილი და საკრებულოს აპარატის იურიდიულ საკითხთა განყოფილების მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ნ. კუპრეიშვილი.

დღის წესრიგი:

1. აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის შემადგენლობაში შეტანილი ცვლილების ცნობად მიღების შესახებ.

   მომხს. დ. ცანავა

2. აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურის, ეკონომიკური და ქონების მართვის კომისიის შემადგენლობაში შეტანილი ცვლილების ცნობად მიღების შესახებ.

   მომხს. დ. ცანავა

3. აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ, განათლების და კულტურის საკითხთა კომისიის შემადგენლობაში შეტანილი ცვლილების ცნობად მიღების შესახებ.

   მომხს. დ. ცანავა

4. აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აგრარულ და მიწის საკითხთა კომისიის შემადგენლობაში შეტანილი ცვლილების ცნობად მიღების შესახებ.

   მომხს. დ. ცანავა

5. აბაშის მუნიციპალიტეტის პერსონალური ასისტენტის სერვისის პროგრამის დამტკიცების შესახებ დადგენილების პროექტის განხილვის დაწყების თაობაზე.

   მომხს. ი. კიზირია

6. აბაშის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის I კვარტლის შესრულების ანგარიშის განხილვის დაწყების შესახებ.

   მომხს. ი. კიზირია

7. აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის მიერ 2026 წლის I კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის განხილვის დაწყების თაობაზე.

მომხს. ი. კიზირია

8. აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის მიერ 2026 წლის I კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის განხილვის დაწყების თაობაზე.

მომხს. ი. კიზირია

9. აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური პოლიტიკის და მუნიციპალური სერვისების სამსახურის მიერ 2026 წლის I კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის განხილვის დაწყების თაობაზე.

მომხს. ი. კიზირია

მოისმინეს:

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის შემადგენლობაში შეტანილი ცვლილების ცნობად მიღების შესახებ.

მომხს. დ. ცანავა

მომხსენებელმა, საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე დ. ცანავამ ბიუროს წევრებს აცნობა, რომ ფრაქციის ,,აბაშისათვის" დაფუძნებასთან დაკავშირებით საკრებულოს ბიუროს მიერ დამტკიცებული მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიებში პროპორციული წარმომადგენლობის ახალი კვოტების შესაბამისად, ფრაქციას ,,აბაშისათვის" თითოეულ კომისიაში განესაზღვრა ერთი კვოტა. ფრაქციის ,,აბაშისათვის" გადაწყვეტილებით საფინანსო-საბიუჯეტო კომისიაში წარდგენილი იქნა საკრებულოს წევრი გელა ლაბარტყავა. იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიამ შეამოწმა ფრაქციის მიერ ამ კომისიაში საკრებულოს წევრის გელა ლაბარტყავას წარდგენის სისწორე. აღნიშნული შეესაბამება საფინანსო-საბიუჯეტო კომისიაში ფრაქცია ,,აბაშისათვის" დადგენილ პროპორციული წარმომადგენლობის კვოტას. ფრაქციის მიერ კომისიაში წარდგენილი წევრი კომისიაში დანიშნულად მიიჩნევა აღნიშნული ფაქტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს მიერ ცნობად მიღების მომენტიდან.

ბიურომ ცნობად უნდა მიიღოს საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის შემადგენლობაში შეტანილი ცვლილება.

ბიურომ ცნობად მიიღო საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის შემადგენლობაში შეტანილი ცვლილება -კომისია შალვა ჯღარკავას, პაატა ხოშტარიას, მურმან გუნიას, ზაზა ალასანიას, გიორგი პაპასკირის, იაგო თოდუას და გელა ლაბარტყავას შემადგენლობით.

მოისმინეს:

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურის, ეკონომიკური და ქონების მართვის კომისიის შემადგენლობაში შეტანილი ცვლილების ცნობად მიღების შესახებ.

მომხს. დ. ცანავა

მომხსენებელმა, საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე დ. ცანავამ ბიუროს წევრებს აცნობა, რომ ფრაქციის ,,აბაშისათვის" გადაწყვეტილებით საკრებულოს ინფრასტრუქტურის, ეკონომიკური და ქონების მართვის კომისიაში წარდგენილი იქნა საკრებულოს წევრი გელა ლაბარტყავა. იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიამ შეამოწმა ფრაქციის მიერ ამ კომისიაში საკრებულოს წევრის გელა ლაბარტყავას წარდგენის სისწორე. აღნიშნული შეესაბამება საკრებულოს ინფრასტრუქტურის, ეკონომიკური და ქონების მართვის კომისიაში ფრაქცია ,,აბაშისათვის" დადგენილ პროპორციული წარმომადგენლობის კვოტას. ფრაქციის მიერ კომისიაში წარდგენილი წევრი კომისიაში დანიშნულად მიიჩნევა აღნიშნული ფაქტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს მიერ ცნობად მიღების მომენტიდან.

ბიურომ ცნობად უნდა მიიღოს საკრებულოს ინფრასტრუქტურის, ეკონომიკური და ქონების მართვის კომისიის შემადგენლობაში შეტანილი ცვლილება.

ბიურომ ცნობად მიიღო საკრებულოს ინფრასტრუქტურის, ეკონომიკური და ქონების მართვის კომისიის შემადგენლობაში შეტანილი ცვლილება -კომისია გიორგი ქოიავას, როინ კაჭარავას, იასონ კიზირიას, ლეონტი ნადარეიშვილის, შოთა ჭანტურაიას, თორნიკე ესაკიას, იაგო თოდუას და გელა ლაბარტყავას შემადგენლობით.

მოისმინეს:

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ, განათლების და კულტურის საკითხთა კომისიის შემადგენლობაში შეტანილი ცვლილების ცნობად მიღების შესახებ.

მომხს. დ. ცანავა

მომხსენებელმა, საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე დ. ცანავამ ბიუროს წევრებს აცნობა, რომ ფრაქციის ,,აბაშისათვის" გადაწყვეტილებით საკრებულოს სოციალურ, განათლების და კულტურის საკითხთა კომისიაში წარდგენილი იქნა საკრებულოს წევრი გელა თოფურია იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო

საკითხთა და ეთიკის კომისიამ შეამოწმა ფრაქციის მიერ ამ კომისიაში საკრებულოს წევრის გელა თოფურიას წარდგენის სისწორე. აღნიშნული შეესაბამება საკრებულოს სოციალურ, განათლების და კულტურის საკითხთა კომისიაში ფრაქცია ,,აბაშისათვის" დადგენილ პროპორციული წარმომადგენლობის კვოტას. ფრაქციის მიერ კომისიაში წარდგენილი წევრი კომისიაში დანიშნულად მიიჩნევა აღნიშნული ფაქტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს მიერ ცნობად მიღების მომენტიდან.

ბიურომ ცნობად უნდა მიიღოს საკრებულოს სოციალურ, განათლების და კულტურის საკითხთა კომისიის შემადგენლობაში შეტანილი ცვლილება.

ბიურომ ცნობად მიიღო საკრებულოს სოციალურ, განათლების და კულტურის საკითხთა კომისიის შემადგენლობაში შეტანილი ცვლილება -კომისია ზაზა გუგუშვილის, პაატა ხოშტარიას, გიორგი მიმინოშვილის, სევერიანე ქოიავას, ანდრო ქვილითაიას, ვლადიმერ ავალიანის და გელა თოფურიას შემადგენლობით.

4

მოისმინეს:

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აგრარულ და მიწის საკითხთა კომისიის შემადგენლობაში შეტანილი ცვლილების ცნობად მიღების შესახებ.

მომხს. დ. ცანავა

მომხსენებელმა, საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე დ. ცანავამ ბიუროს წევრებს აცნობა, რომ ფრაქციის ,,აბაშისათვის" გადაწყვეტილებით საკრებულოს აგრარულ და მიწის საკითხთა კომისიაში წარდგენილი იქნა საკრებულოს წევრი კოკი ჩაჩავა. იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიამ შეამოწმა ფრაქციის მიერ ამ კომისიაში საკრებულოს წევრის კოკი ჩაჩავას წარდგენის სისწორე. აღნიშნული შეესაბამება საკრებულოს აგრარულ და მიწის საკითხთა კომისიაში ფრაქცია ,,აბაშისათვის" დადგენილ პროპორციული წარმომადგენლობის კვოტას. ფრაქციის მიერ კომისიაში წარდგენილი წევრი კომისიაში დანიშნულად მიიჩნევა აღნიშნული ფაქტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს მიერ ცნობად მიღების მომენტიდან.

ბიურომ ცნობად უნდა მიიღოს საკრებულოს აგრარულ და მიწის საკითხთა კომისიის შემადგენლობაში შეტანილი ცვლილება.

ბიურომ ცნობად მიიღო საკრებულოს აგრარულ და მიწის საკითხთა კომისიის შემადგენლობაში შეტანილი ცვლილება - კომისია ზაალ ნოდიას, გია მიგინეიშვილის, ბესარიონ ნადარაიას, მამუკა კვიტაშვილის, ბაქარ შელიას, რეზო ქავთარაძის, ზვიად კუპრეიშვილის და კოკი ჩაჩავას შემადგენლობით.

5

მოისმინეს:

აბაშის მუნიციპალიტეტის პერსონალური ასისტენტის სერვისის პროგრამის დამტკიცების შესახებ დადგენილების პოექტის განხილვის დაწყების თაობაზე.

მომხს. ი. კიზირია

მომხსენებელმა ი. კიზირიამ ბიუროს წევრებს გააცნო აბაშის მუნიციპალიტეტის პერსონალური ასისტენტის სერვისის პროგრამის დამტკიცების შესახებ დადგენილების პოექტი.

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურომ მიიღო რეკომენდაცია:

საკითხი – აბაშის მუნიციპალიტეტის პერსონალური ასისტენტის სერვისის პროგრამის დამტკიცების შესახებ დადგენილების პროექტის განხილვა დაიწყოს საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიამ (დ. ცანავა) და სოციალურ, განათლების და კულტურის საკითხთა კომისიამ (ზ. გუგუშვილი).

6

მოისმინეს:

აბაშის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის I კვარტლის შესრულების ანგარიშის განხილვის დაწყების შესახებ.

მომხს. ი. კიზირია

მომხსენებელმა ი. კიზირიამ ბიუროს წევრებს გააცნო აბაშის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის I კვარტლის შესრულების ანგარიში.

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურომ მიიღო რეკომენდაცია:

საკითხი – აბაშის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის I კვარტლის შესრულების ანგარიშის განხილვა დაიწყოს საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიამ (შ. ჯღარკავა).

7

მოისმინეს:

აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის მიერ 2026 წლის I კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის განხილვის დაწყების თაობაზე.

მომხს. ი. კიზირია

მომხსენებელმა ი. კიზირიამ ბიუროს წევრებს გააცნო აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის ანგარიში 2026 წლის I კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურომ მიიღო რეკომენდაცია:

საკითხი - აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის მიერ 2026 წლის I კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის განხილვა დაიწყოს საკრებულოს სოციალურ, განათლების და კულტურის საკითხთა კომისიამ (ზ. გუგუშვილი).

რეკომენდაცია მიღებულ იქნა ერთხმად.

8

მოისმინეს:

აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის მიერ 2026 წლის I კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის განხილვის დაწყების თაობაზე.

მომხს. ი. კიზირია

მომხსენებელმა ი. კიზირიამ ბიუროს წევრებს გააცნო აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის ანგარიში 2026 წლის I კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურომ მიიღო რეკომენდაცია:

საკითხი - აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის მიერ 2026 წლის I კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის განხილვა დაიწყოს საკრებულოს სოციალურ, განათლების და კულტურის საკითხთა კომისიამ (ზ. გუგუშვილი).

რეკომენდაცია მიღებულ იქნა ერთხმად.

მოისმინეს:

აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური პოლიტიკის და მუნიციპალური სერვისების სამსახურის მიერ 2026 წლის I კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის განხილვის დაწყების თაობაზე.

მომხს. ი. კიზირია

მომხსენებელმა ი. კიზირიამ ბიუროს წევრებს გააცნო აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური პოლიტიკის და მუნიციპალური სერვისების სამსახურის ანგარიში 2026 წლის I კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურომ მიიღო რეკომენდაცია:

საკითხი - აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური პოლიტიკის და მუნიციპალური სერვისების სამსახურის მიერ 2026 წლის I კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის განხილვა დაიწყოს საკრებულოს ინფრასტრუქტურის, ეკონომიკური და ქონების მართვის კომისიამ (გ. ქოიავა).

რეკომენდაცია მიღებულ იქნა ერთხმად.

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარე: ი. კიზირია